საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

ტრენინგკურსი

კურსის სახელწოდება:	რეგულირების გავლენის შეფასება (Regulatory Impact Assessment)
კურსის მოცულობა:	24 საათი
კურსის ხელმძღვანელი	მოწვეული სპეციალისტი ნათია სუარიშვილი.
კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები (გთხოვთ, თან დაურთოთ CV)	ნესტან გაფრინდაშვილი
სწავლების ენა:	ქართული
სამიზნე ჯგუფი:	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები, საჯარო მმართველობის სტუდენტები, საჯარო მოხელეები, პროექტების მართვის სპეციალისტები.
კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:	სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია.
კურსის მიზანი:	წარმოდგენილი კურსის მიზანია, მოამზადოს მსმენელები რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) - თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში. რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, შეაფასონ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების (ნებისმიერი სახის რეგულირების) დადებითი და უარყოფითი მხარეები და მათი პოტენციური რაოდენობრივი თუ

	თვისებრივი გავლენა. სასწავლო კურსი ორიენტირებულია, მსმენელები მოამზადოს რეგულირების გავლენის შეფასებაში და მისცეს მათ საშუალება, დაეუფლონ საჯარო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების ძირითად ანალიტიკურ მეთოდებს.
სწავლის შედეგები:	კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს სიღრმისეულად ეცოდინება: ➢ რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) არსი, მიზნები და ძირითადი ასპექტები. ➢ ვინ არის რეგულირების გავლენის შეფასებაზე პასუხისმგებელი უწყებები და რა სახის რეგულირებებზე ტარდება ის? ➢ მონაცემების მოგროვება და კონსულტაციების პროცესის მნიშვნელობა. როგორ უნდა ჩატარდეს წარმატებული კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან; გავლენა-ინტერესის მატრიცა. ➢ პრობლემის არსისა და მასშტაბის აღწერა, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და შესაბამის შედეგებს შორის კავშირის დადგენა - ე.წ. „პრობლემის ხის“ შემუშავება. ➢ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საბაზისო სცენარი - ე.წ. „სტატუს კვო“. ➢ მიზნების დასახვა, ზოგადი ხასიათის მიზნებიდან სპეციფიკურ (კონკრეტულ) და ოპერაციულ მიზნებამდე. როგორ უნდა იყოს მიზნები SMART კრიტერიუმების (*Specific-კონკრეტული, Measurable-გაზომვადი; Achievable-მიღწევადი, შეთანხმებული; Relevant-შესაბამისი; Time-bound-დროში გაწერილი)* შესაბამისი. ➢ ალტერნატივების მნიშვნელობა და სხვადასხვა სახის ალტერნატივების (მარეგულირებელი და არამარეგულირებელი) შემუშავება კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გარშემო; ალტერნატივების ანალიზი საბაზისო სცენართან შედარებით. ➢ კონკრეტული პრობლემის გარშემო გავლენის სფეროების (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ა.შ.) იდენტიფიცირება. ➢ გავლენის ობიექტების ანუ იმ პირების განსაზღვრა, ვისზეც გავლენა ექნება გადაწყვეტილების მიღებას. ➢ არასაბაზრო გავლენის მონეტიზაციის

	ძირითადი ასპექტები; განსხვავება ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზს შორის. ➢ ხარჯისა და სარგებლის განსაზღვრა თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის დროს. ➢ ალტერნატივების შედარება და საუკეთესო ალტერნატივის გამოვლენა. ➢ ალტერნატივების შედარებითი ანალიზის მეთოდების არსი და ძირითადი მახასიათებლები: ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA), ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი (CEA), მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA). ➢ ადმინისტრაციული ხარჯების ანალიზი; სტანდარტული ხარჯების მოდელის (SCM) ძირითადი ელემენტები. ➢ უპირატესი ალტერნატივის განხორციელების პროცესი; მიღებული შედეგების მონიტორინგისა და შედეგების შეფასების მნიშვნელობა; ექს-ანტე და ექს-პოსტ ანალიზებს შორის განსხვავება. მსმენელი შეძლებს: ➢ შეაფასოს ნებისმიერი სახის რეგულირება (პოლიტიკა) ეკონომიკურად, გავლენების სფეროების, შესაბამისი ხარჯის და სარგებლის მიხედვით. ➢ გააანალიზოს რიგ საკითხებზე რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტები. ➢ მოამზადოს რიგ საკითხებზე რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი. ➢ დასვას პოლიტიკის პრობლემა სათანადოდ და დასახოს შესაბამისი მიზნობრივი ინდიკატორები. ➢ მოიძიოს პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები. ➢ მოაგროვოს ანალიზისთვის აუცილებელი მონაცემები, იცნობდეს სტატისტიკურ მონაცემთა ძირითად წყაროებს. ➢ გააანალიზოს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები და გამოიყენოს ისინი ალტერნატივების შედარების პროცესში. ➢ შეაფასოს სათანადოდ პოლიტიკის მიღებით გამოწვეული ადმინისტრაციული ხარჯები. ➢ განასხვავოს ერთმანეთისგან ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის ასპექტები. ➢ განსაზღვროს კონკრეტული პოლიტიკის

	ფარგლებში დაინტერესებული მხარეები და გააანალიზოს მათი ინტერესისა და გავლენის მიმართულება. ➢ საჭიროებისამებრ, დააკვირდეს რეგულირების გავლენის შეფასების მონიტორინგის პროცესს, გააანალიზოს პროცესის შეფასებები და შეადაროს ერთმანეთს ექს-ანტე და ექს-პოსტ ანალიზები.
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:	**სწავლების მეთოდები მოიცავს:** ➢ პრეზენტაციას; ➢ მსმენელთა ჩართულობას ლექციის მსვლელობისას, ასევე მათ აქტივობას პრაქტიკული შემთხვევების განხილვა-შეფასების პროცესში; ➢ ინდივიდუალურ, პრაქტიკულ მუშაობას Excel-ის ფაილებში. კურსის მსვლელობისას დავალებების შესრულებას აღნიშნული პროგრამის გამოყენებით; ➢ შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study); ➢ ჯგუფური (collaborative) მუშაობა.
კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:	კურსის განხორციელებისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს წარმოადგენს: ➢ კომპიუტერები სტუდენტებისთვის; ➢ პროექტორი; ➢ დაფა; ➢ მარკერი.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი

I მოდული (იმ შემთხვევაში თუ კურსი რამდენიმე მოდულისაგან შედგება) (მიუთითეთ ძირითადი საკითხები, საათების რაოდენობა თითოეული საკითხისათვის, ლიტერატურა)

#	თემა / სესია	საათების რაოდენობა თითოეული თემისათვი	მეთოდები	სასწავლო მასალა*

		ს		
1	რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) მიმოხილვა: მიზნები და მეთოდები, საერთაშორისო გამოცდილება **განსახილველი საკითხები:** a) RIA-ს არსი, მიზნები და ძირითადი ასპექტები რა არის რეგულირების გავლენის შეფასება? როდის უნდა ჩატარდეს ის? b) რატომ არის მნიშვნელოვანი კარგი რეგულირება თანამედროვე ქვეყნებისთვის? „უკეთესი რეგულირების“ კონტექსტის მიმოხილვა და RIA-ს განსაზღვრა, იმ შედეგების გაცნობა, რაც RIA-ს დანერგვის შემდეგ დადგა სხვადასხვა ქვეყანაში. RIA-ს ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა - პროცესის რამდენიმე ეტაპად გაყოფა, პრობლემის განსაზღვრიდან შედეგების გაცნობამდე გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და საზოგადოებისთვის.	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე დამხმარე სახელმძღვანელოები: OECD, 2009. Chapter 1. In: *Regulatory Impact Analysis. A tool for Policy coherence.* OECD Reviews of Regulatory Reform. Commission Staff Working Document, 2015. “Chapter 3: Impact Assessment Guidelines”. In: *Better Regulation Guidelines.* Commission Staff Working Document. Dunlop, Claire A., Martino Maggetti, Claudio M. Radaelli, and Duncan Russel. "The many uses of regulatory impact assessment: A meta-analysis of EU and UK cases." Regulation & Governance 6, no. 1 (2012): 23-45. Impact Assessment Guidelines (2009). European Commission. Renda, A., Schrefler, L., Luchetta, G., Zavatta, R. (2013). Assessing the Costs and Benefits

				of Regulation. IA Toolkit - How to do an Impact Assessment (2011). UK HM Government. Introductory Handbook for Undertaking Regulatory Impact Analysis (RIA) (2008). Organization for Economic Co-operation and Development. Impact Assessment in Legislative Drafting – Guidelines (2008). Ministry of Justice of Finland. Regulatory Impact Analysis: A Primer (2003). Circular A-4 of the Office of Management and Budget (OMB) within the Executive Office of the President of the United States. Annexes to Impact Assessment Guidelines (2009). European Commission.
2	*ლექცია პრეზენტაცია:* RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია სხვადასხვა ქვეყნებსა და ევროკავშირში - ვინ არის რეგულირების გავლენის შეფასებაზე პასუხისმგებელი უწყებები და რა სახის რეგულირებებზე	თემას დაეთმობა 2 საათი.	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე

	ტარდება ის? ვინ არის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანო? ინტეგრირებული RIA და სპეციფიკური RIA - კავშირი მათ შორის ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე. *დისკუსია თემაზე:* რით განსხვავდება RIA სხვა ანალიტიკური დოკუმენტებისგან? კანონების ეკონომიკური ანალიზის ძირითადი სარგებელი.			სახელმძღვანელოები.
3	კონსულტაციები და მონაცემების შეგროვების ტექნიკა **განსახილველი საკითხები:** დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია ხარისხის კონტროლისა და მონაცემების შეგროვებისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. განვიხილავთ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტირებისა და კომუნიკაციის საშულებებს, როგორც RIA-ს ნაწილს და იმას, თუ როგორ უნდა ავირიდოთ ცუდი კონსულტაციები. კონსულტაცია არის RIA-	თითოეულ თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	სთვის მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი საშუალება. მონაცემები არის შეზღუდული, ხარჯიანი, და არასდროს საკმარისი. *დისკუსია თემაზე:* დაინტერესებული მხარეების მატრიცის შედგენა.			
4	პრობლემის განსაზღვრა და საბაზისო სცენარის ჩამოყალიბება **განსახილველი საკითხები:** a) პრობლემის არსისა და მასშტაბის აღწერა, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და შესაბამის შედეგებს შორის კავშირის დადგენა - ე.წ. „პრობლემის ხე“; b) როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საბაზისო სცენარი - ე.წ. „სტატუს კვო“? c) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი RIA-ს პროცესში არის პრობლემის სწორად ჩამოყალიბება. მარეგულირებლები და კანონის მიმღებნი ხშირად უშვებენ შეცდომას ამ ეტაპზე, რაც შემდგომში იწვევს რეგულირების მარცხს. მიმოიხილება ის ყველაზე ცნობილი საერთო მიზეზები, რის გამოც რეგულაციები ვერ აღწევს დასახულ მიზანს და	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	განიხილება, თუ როგორ შეიძლება ამგვარი მარცხის მინიმუმამდე დაყვანა RIA-ს პროცესში პრობლემისა და საბაზისო სცენარის უკეთესად იდენტიფიცირების საშუალებით. რამდენიმე ხარჯიანი რეგულირების მარცხის მაგალითის განხილვით, განვსაზღვრავთ, როგორ შეუძლიათ მარეგულირებლებს პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების სწორად იდენტიფიცირება. მეორე ეტაპი იქნება საბაზისო სცენარის განხილვა, ანუ იმ შემთხვევის ანალიზი, თუ რა მოხდებოდა სამთავრობო ჩარევის გარეშე.			
5	პოლიტიკის მიზნების დასახვა **განსახილველი საკითხები:** a) მიზნების დასახვა, ზოგადი ხასიათის მიზნებიდან სპეციფიკურ (კონკრეტულ) და ოპერაციულ მიზნებამდე. b) როგორ უნდა იყოს მიზნები SMART კრიტერიუმების (Specific-კონკრეტული, Measurable-გაზომვადი; Achievable-მიღწევადი, შეთანხმებული; Relevant-შესაბამისი; Time-bound-დროში გაწერილი) შესაბამისი?	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	მიზნების დასახვის მნიშვნელობა და როლი რეგულირების გავლენის შეფასებაში. ანალიზის რა ეტაპზე უნდა მოხდეს მიზნების დასახვა? c) მიზნები უნდა შეესაბამებოდეს პრობლემას, მის მიზეზებს და შედეგებს. მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტრატეგი(ებ)ით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს. d) RIA+ (2030 დღის წესრიგის გათვალისწინება რეგულირების გავლენის შეფასების დროს).			
6	ალტერნატივების ანალიზი **განსახილველი საკითხები:** a) ალტერნატივების მნიშვნელობა და სხვადასხვა სახის ალტერნატივების (მარეგულირებელი და არამარეგულირებელი) შემუშავება; როგორ უნდა განვსაზღვროთ ძირითადი ალტერნატივები? პროპორციულობის პრინციპის გამოყენება ალტერნატივების შერჩევისას. b) RIA-ს	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, ინდივიდუალური, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	უმნიშვნელოვანესი და რთული ნაწილია ალტერნატიული პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და სხვადასხვა მარეგულირებელი დიზაინის შეფასება. განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს და ერთმანეთს შეედაროს ერთმანეთს მარეგულირებელი და არამარეგულირებელი ალტერნატივები, მათ შორის: ტრადიციული მიდგომა, თანარეგულირება, თვითრეგულირება, ეკონომიკური საშუალებები, ინფორმაციული მიდგომა, რეგულირების გარეშე მიდგომა (ბაზარზე ჩაურევლობა).			
7	ალტერნატივების შესაბამისი გავლენის სფეროების ანალიზი **განსახილველი საკითხები:** • გავლენის სფეროების (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ა.შ.), ასევე მათი მოხდენის მიზეზ-შედეგობრიობის განსაზღვრა • გავლენის ობიექტების ანუ იმ პირების განსაზღვრა, ვისზეც გავლენა ექნება გადაწყვეტილების	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	მიღებას. განვიხილავთ გავლენის სფეროების ანალიზის სამეტაპიან მიდგომას.			
8	ალტერნატივების შედარება **განსახილველი საკითხები:** შევისწავლით ალტერნატივების შეფასების ძირითად კრიტერიუმებს: ეფექტურობა, ეფექტიანობა, თანმიმდევრულობა (შესაბამისობა). განვიხილავთ ხარჯისა და სარგებლის მაგალითს გავლენის ობიექტების მიხედვით. ჩვენ ასევე ვაჩვენებთ, თუ როგორ ედრება თითოეული ალტერნატივა ერთმანეთს RIA-ში იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მიიღონ შესაბამისი პოლიტიკის გადაწყვეტილება. a) განიხილება RIA-ს ფარგლებში შემუშავებული ალტერნატივების შედარების არსებული ანალიტიკური მეთოდები (CBA, CEA, MCA), მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ის სიტუაციები და პრობლემები, რომელთაც მიესადაგება თითოეული	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, ინდივიდუალური, პრაქტიკული მუშაობა Excel-ის ფაილებში, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	მათგანი.			
9	ალტერნატივების შედარებითი ანალიზის დამატებითი ასპექტები **განსახილველი საკითხები:** • არასაბაზრო გავლენის მონეტიზაციის ძირითადი ასპექტები; • ფინანსური VS ეკონომიკური ანალიზი.	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, ინდივიდუალური, პრაქტიკული მუშაობა Excel-ის ფაილებში, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.
10	ალტერნატივების შედარებითი ანალიზის მეთოდები: • ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) • ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი (CEA) • მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA) • სენსიტიურობის (მგრძნობელობის) ანალიზი	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, ინდივიდუალური, პრაქტიკული მუშაობა Excel-ის ფაილებში, შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study), ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.
11	ადმინისტრაციული ტვირთი და სტანდარტული ხარჯების მოდელი **განსახილველი საკითხები:** ბიზნესებსა და მოქალაქეებზე დაკისრებული ადმინისტრაციული ტვირთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კონკურენტუნარიანობისა და სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით. ბევრმა	თემას დაეთმობა 2 საათი;	პრეზენტაცია, სტუდენტთა ჩართულობა ლექციის მსვლელობისას, ჯგუფური (collaborative) მუშაობა.	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

	მთავრობამ სცადა ადმინისტრაციული ტვირთის გაზომვა და შემცირება „სტანდარტული ხარჯების მოდელის“ (SCM) გამოყენებით, რომელიც ზომავს იმ დროს, რაც საჭიროა ადმინისტრაციული მოთხოვნების შესასრულებლად.			
12.	1.უპირატესი ალტერნატივის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება **განსახილველი საკითხები:** • შერჩეული ალტერნატივის განხორციელების პროცესი, განმახორციელებელი უწყებები; • ალტერნატივის განხორციელების მონიტორინგის პროცესის ძირითადი ელემენტები; • პოლიტიკის შედეგების შეფასებების ეტაპი, მათ შორის, ექს-ანტე და ექს-პოსტ ანალიზი და მათ შორის განსხვავება. 2. RIA ქართულ საჯარო პოლიტიკაში. სიტუაციის შეფასება და შემთხვევების ანალიზი	თითოეულ თემას დაეთმობა 1 საათი; სულ ჯამში 2 საათი.	ჯგუფური (collaborative) მუშაობა	კურსის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული მასალები. ასევე პირველ პუნქტში მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები.